აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევითი პროფილი

დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს
სხდომის ოქმი № 5
28.12.2017

ქუთაისი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევითი პროფილი

1. ფაკულტეტის პროფილის მიზანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი მიზანია მისი მრავალპროფილური სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია და ინტერნაციონალიზაცია.

კვლევითი პროფილის დოკუმენტში ასახულია არსებული მდგომარეობა და დასახულია სამომავლო პერსპექტივები.

2. გამოყენების სფერო

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში, ისე აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებული სასწავლო და კვლევითი დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს, არასამთავრობო და კერძო სექტორის მიერ.

3. მოკლე სიტუაციური აღწერა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სამეცნიერო კვლევებს ახორციელებს 8 დარგობრივ დეპარტამენტსა და 1 სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულში. კვლევები ხორციელდება როგორც საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით, ასევე აკადემიური პერსონალის საქართველოსა თუ უცხოეთის უნივერსიტეტებთან, საჯარო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე. ფაკულტეტის პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საქართველოსა და უცხოეთში ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და ფორუმებში. შესაბამისად, კვლევების შედეგები გამოქვეყნებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა და კრებულებში.

4. სიტუაციური ანალიზი (SWOT)

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
❖ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი; ❖ მაღალპროფესიული კვლევის ხანგრძლივი ტრადიცია, კვლევის შედეგების ინტეგრირება სწავლების პროცესში; ❖ აკადემიური პერსონალის, პარტნიორობის ფარგლებში, ჩართულობა სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებსა და სამეცნიერო	❖ საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების, შრომების ციტირების ინდექსის დაბალი მაჩვენებლები; ❖ სამეცნიერო კვლევებში უცხოელი მეცნიერების ჩართულობის საშუალო მაჩვენებელი;

პროექტებში. ❖ ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ქართველოლოგიის კვლევითი ცენტრის ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობა. ❖ აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების აქტიური მონაწილეობა აკადემიურ გაცვლით პროგრამებსა და საგრანტო პროექტებში; ❖ ფაკულტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი; ❖ ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მაღალ დონეზე ჩატარების ტრადიცია; ❖ მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს, ევროპულ, ამერიკულ და აღმოსავლეთის ქვეყნების უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან; სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციასა, საზოგადოებასა თუ ინსტიტუტთან; საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების კულტურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებებთან; ❖ პუბლიკაციები საერთაშორისო გამოცემებში, მათ შორის, განთავსებული ელ. ბაზაში Google Scholar და რუსეთის სამეცნიერო ციტირების ბიბლიოგრაფიულ ბაზაში (РИНЦ), რაც რელევანტურია რუსისტთა სამეცნიერო პროფილის შეფასებისას; ❖ უცხოეთში გამოცემული სტატიები. ❖ ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ სამეცნიერო ფონდებში საკონკურსოდ წარდგენილი პროექტები; ❖ კვლევების განხორციელებისათვის არსებული შესაბამისი მატერიალური ბაზა;	❖ ეროვნულ დონეზე სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წყაროების სიმწირე; ❖ სამეცნიერო პროდუქციის ინტერნეტსივრცეში განთავსების სირთულე –აკადემიური ჟურნალების ელექტრონული დომენების შექმნის დაფინანსების საჭიროება. ❖ შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის არარსებობა; ❖ აკადემიური პერსონალის არასაკმარისი საერთაშორისო ცნობადობა.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**

❖ ახალგაზრდა მკვლევრების (მაგისტრანტები, დოქტორანტები) ჩართულობა კვლევის პროცესში; ❖ კვლევების განხორციელებისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური ბაზისა და წიგნადი ფონდის გაუმჯობესება; ❖ ინტერდისციპლინალური კვლევების განხორციელება; ❖ ერთობლივ საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღება; ❖ აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება. ❖ შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის ორგანიზება; ❖ სამეცნიერო პროდუქციის ინტერნეტსივრცეში განთავსება–აკადემიური ჟურნალების ელექტრონული დომენების შექმნა.	❖ სამეცნიერო კვლევების დაფინანსების სიმცირე;

5. არსებული და პოტენციური პარტნიორები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი; ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თავისუფალი უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ზუგდიდის შ. მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრი; კავკასიის უნივერსიტეტი; საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი; შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა; საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია; ადგილობრივი თვითმმართველობები; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (ხელნაწერთა ფონდი...); ქუთაისის ისტორიულ–არქიტექტურული მუზეუმ–ნაკრძალი; საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი; ქუთაისის ცენტრალური არქივი; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო; საქართველოს ეროვნული მუზეუმის ვანის არქეოლოგიური მუზეუმი; სინოპის უნივერსიტეტი; არიელის უნივერსიტეტი (ისრაელი); წმინდა კლიმენტ ორჰიდელის სახელობის უნივერსიტეტი (სოფია, ბულგარეთი); სენ-კანტენ-ან-იველინის ვერსალის უნივერსიტეტი (საფრანგეთი); გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური-DAAD; გერმანიის სამეცნიერო-კვლევითი ფონდი; იუნუს ემრეს ინსტიტუტი (თურქეთი); შოთა რუსთაველის ეროვნული

სამეცნიერო ფონდი; ფრანგული ინსტიტუტი; რიზეს უნივერსიტეტი (თურქეთი); ყარსის უნივერსიტეტი (თურქეთი); არდაგანის უნივერსიტეტი (თურქეთი); ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დსთ–ს ქვეყნებთან თანამშრომლობის ფონდი (ეგვიპტე); კაიროს უნივერსიტეტი (ეგვიპტე); გილანის უნივერსიტეტი (ირანი); თავრიზის უნივერსიტეტი (ირანი); ფრიდრიჰ შილერის იენის უნივერსიტეტი (გერმანია); ჰაიდელბერგის რუპრეჰტ კარლსის უნივერსიტეტი (გერმანია); დორტმუნდის უნივერსიტეტი (გერმანია); გოეთეს საერთაშორისო საზოგადოება (ვაიმარი, გერმანია); ფრანგული ენის სკოლა Azurlingua (ნიცა, საფრანგეთი); ფილოლოგიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებისა და დაწესებულებების ფრანკოფონული ასოციაცია (AFELSH); ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო (AUF); დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონულ სამეცნიერო დაწესებულებათა ბაზაზე შექმნილი სადოქტორო კოლეჯი (CODFREURCOR); მონტანას უნივერსიტეტი (აშშ); კალიფორნიის უნივერსიტეტი სანტა კრუზში (აშშ); ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტი (აშშ); დასავლეთ კაროლინას უნივერსიტეტი (აშშ); მისური–კოლუმბიის უნივერსიტეტი (აშშ); ფულბრაიტის ასოციაცია (აშშ); ჯეიმზ ჯოისის საერთაშორისო ფონდი (აშშ); ჯონ დოს პასოსის საზოგადოება (აშშ); ნიუპორტის უნივერსიტეტი (უელსი, დიდი ბრიტანეთი); გრაცის უნივერსიტეტი (ავსტრია); იაშის უნივერსიტეტი (რუმინეთი); ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა); სტენფორდის უნივერსიტეტი (აშშ); რომუალდო დელ ბიანკოს ფონდი (იტალია).

6. კვლევითი მიმართულებები და პროექტები

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება სამეცნიერო კვლევები შემდეგი მიმართულებებით:

- ქართველოლოგია
- ისტორია-არქეოლოგია
- ლინგვისტიკა
- ლიტერატურათმცოდნეობა
- ფილოსოფია
- ხელოვნებათმცოდნეობა

მიმართულება: ქართველოლოგია

აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ძირითადად ხორციელდება ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზაზე. ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი შეიქმნა ქართველური დიალექტოლოგიის მიმართულების (ინსტიტუტის) ბაზაზე 2017 წლის მაისში. აღნიშნულ ტრადიციას აგრძელებს ცენტრის ქვემიმართულება ქართველური დიალექტოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესწავლა; კვლევების შედეგად ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნდა 2 მონოგრაფია, 25 სტატია. ახალი ქვემიმართულებაა: უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა; კვლევების შედეგად 2017 წელს გამოქვეყნდა 10 სტატია. ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს ემსახურება 4 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 დოქტორანტი.

კვლევის ქვემიმართულები:

- **ქართველური დიალექტოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესწავლა:**

ქვემიმართულებაში მიმდინარეობს ქართველური დიალექტების მეცნიერული შესწავლა დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული კუთხით. შესაბამისი მასალების მოძიება ხდება როგორც საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ (ტაო-კლარჯეთში) მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციების ფარგლებში; პარალელურად მიმდინარეობს გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (სვანეთი, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა...) მაგნიტოფონით ჩაწერილი დიალექტური აუდიომასალის გაციფრება (MP3 ფაილების სახით DVD დისკებზე გადატანა) და ფონეტიკური

სიზუსტის შემოწმება; აგრეთვე დიალექტოლოგიური (ეთნოგრაფიული, ფოლკლორული) ტექსტების კორპუსის მომზადება.

ცენტრის ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება დიალექტოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპედიციები, რომელიც ნაწილობრივ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება; ექსპედიციებში ჩართული არიან ქართული ენა-ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობების ბაკალავრები, ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების მაგისტრანტები და დოქტორანტები. ექსპედიციის შედეგებს სტუდენტები მოხსენებების სახით წარმოადგენენ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე.

ცენტრი პერიოდულად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „ქუთაისური საუბრები". ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარდა 2 კონფერენცია: 2013 წელს - „ქუთაისური საუბრები" - XIII, 2017 წელს - „ქუთაისური საუბრები" - XIV).

ცენტრი ყოველწლიურად გამოსცემს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალს „ქართველური მემკვიდრეობა". დღემდე გამოცემულია 20 ტომი. გამოსაცემად მზადდება XXI ტომი.

2013-2014 წწ. მიმართულება შიდასაუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში მუშაობდა სამეცნიერო-კვლევით პროექტზე „ქართველური (იმერული, მეგრული) დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების ელექტრონული კორპუსი-I". პროექტის ფარგლებში შესრულდა შემდეგი სამუშაოები: 1993-1997 წლებში იმერეთსა (ორპირი, ხონი, საჩხერე) და სამეგრელოში (ხობი, აბაშა) ჩაწერილი აუდიომასალის ციფრულ ფორმატზე (CD დისკებზე) გადატანა; ტექსტების ხელახალი მოსმენა (ფონეტიკური სიზუსტის დაცვით); აუდიო-კასეტების, ელექტრონული ტექსტებისა და ხელნაწერების სინქრონიზაცია; ერთიანი ფაილების ფორმატირება. აღნიშნული მასალა უმნიშვნელოვანეს ბაზას წარმოადგენს დიალექტოლოგიური, ეთნოლოგიური და ფოლკლორული ასპექტებით კვლევებისათვის.

- **უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა.**

კვლევა შეეხება როგორც ისტორიული ავბედობის გამო უცხო ქვეყნების (თურქეთი, ირანი) ბინადრებად ქცეული ჩვენი წინაპრების ისტორიულ ყოფასა და კულტურულ მემკვიდრეობას, ასევე ისრაელსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დამკვიდრებულ ქართველ ებრაელთა ურთიერთობას საქართველოსთან და მათ როლს ქართული კულტურის ისტორიაში.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა საგრანტო პროექტი: „მაზანდარანის პროვინციის (ირანის ისლამური რესპუბლიკა) ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფა-ცხოვრება და კულტურა" (გრანტი № Fღ/409/2-141/13).

მიმართულება: ისტორია-არქოლოგია

აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, ამ მიმართულებით მუშაობს 7 პროფესორი, 16 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი.

2012 წლიდან მოქმედებს შესაბამისი აკრედიტებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე კვლევების რაოდენობა: 18
სადოქტორო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე კვლევების რაოდენობა: 18

კვლევის ქვემიმართულებია:

საქართველოს ისტორია:

- ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის ისტორიის საკითხები (ქუთაისის როლი ქართული სახელმწიფოს განვითარების საკითხებში, ქუთაისი გაერთიანებული საქართველიოს დედაქალაქი, ქუთაისი საგუბერნიო ცენტრი, ქუთაისი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში).
- საქართველოს ეკლესიის ისტორიის ძირითადი პრობლემური საკითხების შესწავლა

- ქუთაისის მუზეუმებსა და არქივში დაცული მე-19 საუკუნის შუახანების ქუთაისისა და საქართველოს ისტორიის უცნობი ქართული და უცხოენოვანი დოკუმენტების კვლევა და საქართველოს ისტორიის ისტორიის ნაკლებად შესწავლილი საკითხების სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა.
- ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების ისტორიის შესაწავლა.
- საქართველოს ისტორიის (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს) ისტორიოგრაფიული მასალების კვლევა.
- საქართველოს მეზობელი და რეგიონის დიდი ქვეყნების (თურქეთი, ირანი) ისტორიისა და ქართულ-თურქული და ქართულ-ირანული ურთიერთობების კვლევა.
- ქუთაისსა და იმერეთის რეგიონში გამომავალი საინფორმაციო საშუალებების (მე-19 საუკუნიდან) ისტორიოგრაფიული მასალის შესწავლა და დამუშავება.

მსოფლიო ისტორია:

კვლევა ხორციელდება შემდეგი პრობლემატიკის ჩარჩოებში:

- ელინიზმი;
- რეფორმაციული მოძრაობა გერმანიასა და საფრანგეთში;
- ინგლის-საფრანგეთის ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემური საკითხები;
- თურქეთ-საქართველოსა და თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობები XIX-XX საუკუნეებში;
- ვაიმარის რესპუბლიკის, გფრ-სა და გდრ-ის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემები;
- ტოტალიტარიზმის ისტორია და თეორია.

არქეოლოგია:

- ქუთაისის და იმერეთის რეგიონის არქეოლოგიური ძეგლები
- დასავლეთ საქართველოს ნამოსახლარები, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება
- დასავლეთ საქართველოს სამხედრო ისტორია
- დასავლეთ საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები
- 2010 წლიდან შესრულებულია 3 სამეცნიერო საგრანტო პროექტი;

2010–2017 წლებში განხორციელდა არქეოლოგიური ექსპედიციები ბაგრატის ტაძარზე, გელათის სამონასტრო კომპლექსში, მოწამეთის სამონასტრო კომპლექსში და გეგუთის ციხე–დარბაზში.

მიმართულების პროფესორები და მოწვეული პერსონალი ჩართული არიან საერთაშორისო პროექტებში, რომლებიც ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების დაფინანსებით. (კვიპროსის რესპუბლიკაში მდებარე ღალიის მონასტრის არქეოლოგიურ კვლევაში. ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე საერთაშორისო ექსპედიციებში (ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექპედიცია ქუთაისში 2017 წელი; ედინბურგის უნივერსიტეტის ექსპედიცია დასავლეთ საქართველოში, 2017 წელი.).

ეთნოლოგია–ანთროპოლოგია: ქართული ანთროპონიმია; ქართველთა ეთნიკური ისტორია.

2010 წლიდან შესრულებულია 4 სამეცნიერო საგრანტო პროექტი: რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით; 2 შიდა საუნივერსიტეტო გრანტი, ქუთაისის უნივერსიტეტის გრანტი.

2012–2017 წლებში ქვემიმართულების მიერ ორგანიზებული იქნა სამეცნიერო–კვლევითი ეთნოლოგიური ექსპედიციები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ მხარეებში.

მიმართულება: ლინგვისტიკა

აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება ქართული ფილოლოგიის, ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიის, კლასიკური და

რომანული ფილოლოგიის, აღმოსავლური ფილოლოგიის, სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტების ბაზაზე, ამ მიმართულებით მუშაობს 10 პროფესორი, 27 ასოცირებული პროფესორი, 18 ასისტენტ პროფესორი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასშტაბით ლინგვისტიკის მიმართულებით ჩატარებული ფუნდამენტური კვლევების შედეგად ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნდა 23 მონოგრაფია, 774 სტატია. აღნიშნული მონოგრაფიების, სტატიების უდიდესი ნაწილი შეტანილია ლინგვისტური მიმართულების სასწავლო კურსების სილაბუსებში და აქტიურად გამოიყენება სწავლების პროცესში.

2012 წლიდან მოქმედებს შესაბამისი აკრედიტებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე კვლევების რაოდენობა:19

სადოქტორო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე კვლევების რაოდენობა: 22

კვლევის ქვემიმართულება: ზოგადთეორიული; სოციოლინგვისტური; ისტორიულ-შედარებითი; გამოყენებითი; დიაქრონიული(ენის ისტორიის); სტილისტიკური; დიალექტოლოგიური; გრამატიკული; ლექსიკოლოგიური; ლექსიკოგრაფიული; ფრაზეოლოგიური; კორპუსლინგვისტური; შეპირისპირებითი; ინტერდისციპლინარული.

ლინგვისტიკის ჭრილში ფაკულტეტზე ბოლო 5 წლის მანძილზე განხორციელებულია და ამჟამადაც მიმდინარეობს შემდეგი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები, კერძოდ:

ქართული ენის მიმართულებით განხორციელებულია და ამჟამადაც ხორციელდება შემდეგი პროექტები: ქართული ენის ეროვნული კორპუსი(დონორი ორგანიზაცია-ფოლკსვაგენის ფონდი), ებრაელთა იდენტობა საქართველოში გლობალიზაციის გარიჟრაჟზე(დონორი ორგანიზაცია-ფოლკსვაგენის ფონდი), ენობრივი პოლიტიკის დაგეგმარება და იმპლემენტაცია ევროპის ქვეყნებში (დონორი ორგანიზაცია-ევროკავშირის ფონდი), ენობრივი პოლიტიკა პოსტსაბჭოთა ლატვიაში (დონორი ორგანიზაცია-ლატვიის განათლების განვითარების სახელმწიფო დეპარტამენტი), ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში (დონორი ორგანიზაცია-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი).

ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულებით განხორციელებულია შემდეგი პროექტები: საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი-3 (დონორი ორგანიზაცია- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი), მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების გავლენა ენობრივ და ეთნიკურ იდენტობაზე: ურუმები და პონტოელი ბერძნები საქართველოში (დონორო ორგანიზაცია- ფოლკსვაგენის ფონდი), ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში: სტრუქტურა, სემანტიკა და პრაგმატიკა (დონორი ორგანიზაცია-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი), ქართული საენათმეცნიერო მეტაენის კორპუსი (დონორი ორგანიზაცია-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი), საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ენობრივი პოლიტიკა გლობალიზაციის ეპოქაში (დონორი ორგანიზაცია-ევროკავშირის ფონდი),

გერმანული ენის მიმართულებით განხორციელებულია და ამჟამადაც ხორციელდება შემდეგი კვლევები: გერმანულ–ქართულ ფორმაუცვლელ სიტყვათა ლექსიკონი. გრამატიკული და კომუნიკაციური ასპექტები (საფაკულტეტო გრანტი, 2017-2018წწ.), გერმანული საბავშვო ბაღი (დონორი ორგანიზაცია-თბილისის გოეთეს ინსტიტუტი). ამ მიმართულების აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის ინსტიტუტის შესაბამის დეპარტამენტტან ერთობლივ კვლევებში. ამ პარტნიორობის ფარგლებში მიმართულების აკადემიური პერსონალი ამაჟამად მუშაობს პროექტზე „გერმანულ–ქართულ ფორმაუცვლელ სიტყვათა ლექსიკონი. გრამატიკული და კომუნიკაციური ასპექტები“(Vergleichendes deutsch-georgisches Wörterbuch der nicht flektierbaren Wörter. Grammatische und kommunikative Aspekte“-პროეტის კონსულტანტი-იენის უნივერსიტეტის გერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი პროფ.პეტერ გალმანი).

აღმოსავლური ფილოლოგიის მიმართულებით განხორციელებულია შემდეგი პროექტები: მაზანდარანის პროვინციის (ირანის ისლამური რესპუბლიკა) ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფა–ცხოვრება და კულტურა (დონორი ორგანიზაცია-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი), გრანტის ფარგლებში გამოიცა მონოგრაფია „მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება და კულტურა“, აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) ფრაზეოლოგიის სტრუქტურულ–სემანტიკური ანალიზი და ქართული ექვივალენტების სპეციფიკა (დონორი ორგანიზაცია-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ფრანგული ენის მიმართულებით მოპოვებულია ინდივიდუალური სამოგზაური გრანტი პარიზი-სორბონის უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში „მიზეზის გამოხატვის გრამატიკა“ მონაწილეობისათვის(დონორი ორგანიზაცია-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი), AFELSH-ის მიერ დაფინანსებული საკონფერენციო გრანტები.

ინგლისური ენის მიმართულებით ხორციელდება კვლევები შეპირისპირებითი, ინტერდისციპლინარული და გამოყენებითი ლინგვისტიკის ფარგლებში. ამ ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგია ნაშრომი: ,,ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ლინგვისტიკა“, რომელშიც წარმოდგენილია ზმნურ კატეგორიათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი ამ ორ ენას შორის მსგავსება-განსხვავების დასადგენად.

რუსული ენის მიმართულებით დასრულებული და მიმდინარე საგრანტო პროექტებია: MHRD-UGC e-PG Pathshala: Russian Studies Project (2016-2018) (დონორი ორგანიზაცია-ინდოეთის განათლების სამინისტრო), სტაჟირება ჩეხეთში: Muracek - უნივერსიტეტში (ბრნო), Karitas - კოლეჯში (ოლომოუცი), თავისუფლების რადიო-ში (პრაღა) და სხვა ორგანიზაციებში (დონორი-ორგანიზაცია- Visegrad-ი და ჩეხეთის საგარეო სამინისტრო).

მიმართულება: ლიტერატურათმცოდნეობა

აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება ქართული ფილოლოგიის, ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიის, კლასიკური და რომანული ფილოლოგიის, აღმოსავლური ფილოლოგიის, სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტების ბაზაზე, ამ მიმართულებით მუშაობს 13 პროფესორი, 24 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ პროფესორი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასშტაბით ლიტერატურათმცოდნეობის დარგში ჩატარებული ფუნდამენტური კვლევების შედეგად ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნდა 37 მონოგრაფია, 527 სტატია. აღნიშნული მონოგრაფიების, სტატიების უდიდესი ნაწილი შეტანილია ლიტერატურათმცოდნეობითი სასწავლო კურსების სილაბუსებში და აქტიურად გამოიყენება სწავლების პროცესში.

2012 წლიდან მოქმედებს შესაბამისი აკრედიტებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე კვლევების რაოდენობა: 29
სადოქტორო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე კვლევების რაოდენობა: 28

კვლევის ქვემიმართულებია:

- ქართული ლიტერატურის ისტორიისა და თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის პრობლემური საკითხები
- ქართულ-დასავლური და ქართულ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობები
- ანტიკურობა და საქართველო
- ანტიკურობის რეცეფცია ევროპულ და ამერიკულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში
- ანტიკური მითოლოგია და ანტიკური ლიტერატურის ისტორია
- ინტერდისციპლინური კვლევები
- კომპარატივისტული კვლევები
- თეორიული და ისტორიული პოეტიკის პრობლემები
- მხატვრული თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემური საკითხები

- ევროპული და ამერიკული ლიტერატურის სტრუქტურულ–სემანტიკური ანალიზი
- მე–20 საუკუნის ევროპული და ამერიკული რომანის პოეტიკის პრობლემური საკითხები
- ევროპული და ამერიკული დრამატურგია: თეორიისა და პოეტიკის პრობლემური საკითხები
- აღმოსავლური ლიტერატურ/ებ/ის ისტორიის, მხატვრული მიმდინარეობების ესთეტიკის, პოეტიკისა და სტილისტიკის პრობლემური საკითხები

ლიტერატურათმცოდნეობის ჭრილში ფაკულტეტზე ბოლო 5 წლის მანძილზე განხორციელებულია და ამჟამადაც მიმდინარეობს შემდეგი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები:

- მხატვრული აზროვნების რემითოლოგიზაცია და მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა - პროექტი გულისხმობს მითოპოეტიკის კვლევას ევროპულ და ამერიკულ მოდერნისტულ ლიტერატურაში; პროექტის განხორციელება დაგეგმილია თსუ შესაბამისი პროფილის პროფესურასთან თანამშრომლობით
- პროექტი: ქართველ ებრაელთა რჩეული პუბლიცისტური წერილების მოძიება და გამოქვეყნება სამეცნიერო კომენტარებისა და გამოკვლევის თანდართვით (1887 – 1924 წლები)
- პროექტი: საქართველოსა და კავკასიაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ანტიუტოპიური დისკურსი ქართულ მწერლობაში
- ლათინურენოვანი ძველნაბეჭდების მონაცემთა ბაზა - აწსუ ბიბლიოთეკის საცავებში დაცული XV-XVIIIსს.-ის ლათინურენოვანი ძველნაბეჭდების მთლიანი ფონდის (1000-მდე ერთეული წიგნი) აღწერა, თარგმნა, კრიტიკული გამოცემების მომზადება ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური, ლიტერატურათმცოდნეობითი და ისტორიული ხასიათის გამოკვლევითა და სხვადასხვა ტიპის ლექსიკონ-საძიებლით, კატალოგების შედგენა და მონაცემთა ორენოვანი ელექტრონული ბაზის შექმნა.
- კრებული: ლათინური ხატოვანი სიტყვა-თქმანი, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველაზე ცნობილი ლათინური სენტენციები ქართული თარგმანებით, დაერთვება ლიტერატურული კონტექსტები და შესავალი წერილი
- სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალის „მერიდიანი“ გამოცემა
- სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალის ,,აწსუ სტუდენტური კვლევები“ გამოცემა, სადაც დაიბეჭდება სტუდენტთა საუკეთესო შერჩეული შრომები.

მიმართულება: ფილოსოფია და ხელოვნებათმცოდნეობა

აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება ფილოსოფია-ფსიქოლოგიის, ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტების ბაზაზე. ამ მიმართულებით მუშაობს 1 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი. ფილოსოფიისა და ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგად ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნდა 1 მონოგრაფია, 124 სტატია.

ფაკულტეზე მოქმედებს მიმართულების შესაბამისი აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამები.

ფილოსოფიური კვლევის თემატიკა: სისტემური და თეორიული ფილოსოფია; ლოგიკა; ეთიკა; ესთეტიკა; ხელოვნებისა და კულტურის ფილოსოფია; სოციალური ფილოსოფია; ისტორიის ფილოსოფია; რელიგიის ფილოსოფია; სამართლის ფილოსოფია; ფილოსოფიის ისტორია;

- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის - „სამართლის, ფილოსოფიის, კულტურის და სოციალური მეცნიერებების კვლევისა და სწავლების განვითარება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ - აქტიური თანამონაწილე.

ხელოვნებათმცოდნეობა კვლევის თემატიკა: ქართული და მსოფლიო მუსიკის ისტორია; ქართული და მსოფლიო კინოს ისტორია; ქართული და მსოფლიო თეატრის ისტორია; ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორია.

7. ადამიანური რესურსები

ფაკულტეტზე კვლევის პროცესს ემსახურება:

- 4 ემერიტუსი;
- 27 პროფესორი;
- 76 ასოცირებული პროფესორი;
- 27 ასისტენტ პროფესორი;
- 20 მასწავლებელი (ენათა ცენტრი)
- 68 დოქტორანტი.

8. მატერიალური რესურსები

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს რამდენიმე კომპიუტერ-კლასი, კეთილმოწყობილი და ტექნიკით აღჭურვილი დარგობრივი კაბინეტები, საკონფერენციო დარბაზი, ინტერნაციონალური კლუბი. მუდმივ განახლებადი, მდიდარი დარგობრივი წიგნადი ფონდი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამკითხველო დარბაზი, გოეთეს ბიბლიოთეკა.

აწსუ-ის ისტორია–არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიის მიმართულება კვლევითი პროექტების განხორციელებისათვის იყენებს ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზას (ქ. ქუთაისი, ბაგრატის ქ. # 25). აგრეთვე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებსა და ლაბორატორიებს, ქუთაისის ისტორიულ–არქიტექტურული მუზეუმ–ნაკრძალის შემადგენლობაში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიური ექსპედიციებსა და ლაბორატორიებს, საქართველოს ეროვნულ არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივი.

შესაბამის დეპარტამენტებთან ფუნქციონირებს ენობრივი, საენათმეცნიერო, ლიტერატურული, ისტორიკოსთა და სხადასხვა სამეცნიერო-შემოქმედებითი კლუბები და წრეები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სტუდენტთა პიროვნულ და ინტელექტუალურ განვითარებაში.

ფაკულტეტს აქვს მდიდარი წიგნადი ფონდი (10 000 ერთეულზე მეტი) და შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობა: კომპიუტერი 82 (აქედან 25 დაზიანებული); ლეპტოპი 9; პროექტორი 9; პრინტერი 17 (აქედან 2 დაზიანებული); კომბაინის ტიპის აპარატურა (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი) - 12 (აქედან 1 დაზიანებული); მაგნიტოფონები 60; დიქტოფონი 4; CD PLAYER 2; ტელევიზორი 10; სატელიტური ანტენა 2 (დაზიანებული); Video PLAYER 2; DVD PLAYER 2 (დაზიანებული); მუსიკალური ცენტრი 1; ფაქსი 1; 4 აუდიტორიაში მონტაჟდება პროექტორები.

9. განვითარების მიზნები

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორიენტირება შემდეგი კრიტერიუმების გაუმჯობესებით:

- კვლევითი გარემო (research environment) - სათანადო ინფრასქტრუქტურა;
- კვლევაზე მოზიდული სახსრები (research income) – ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გრანტების თუ პირდაპირი დაკვეთების ფორმით, კონფერენციები და ა.შ.;
- კვლევის შედეგი (research output) - პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის გამოცემებში (ციტაციის კოეფიციენტი), და ა.შ.

- დოქტორანტების რაოდენობა და ზოგადად სტუდენტების მონაწილეობა კვლევით საქმიანობაში, ახალგაზრდა კვლევითი კადრების მომზადების სისტემის არსებობა;
- კვლევითი და სასწავლო აქტივობების ურთიერთდაკავშირება; სასწავლო პროცესში კვლევის შედეგების ჩართვა; სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა.
- კვლევების განხორციელებისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური ბაზისა და წიგნადი ფონდის გაუმჯობესება;
- ინტერდისციპლინალური კვლევების განხორციელება;
- ერთობლივ საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღება;
- აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება.
- შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის ორგანიზება;
- სამეცნიერო პროდუქციის ინტერნეტსივრცეში განთავსება–აკადემიური ჟურნალების ელექტრონული დომენების შექმნა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს პრიორიტეტულად მიაჩნია შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები:

1. **ქართველოლოგია**
2. **ინტერდისციპლინარული კვლევები პრობლემატურ საკითხებზე ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ჭრილში.**

მიმართულება: ქართველოლოგია

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრს აქვს შესაბამისი პოტენციალი იყოს ერთ-ერთი ლიდერი სამეცნიერო სტრუქტურა ქვეყნის მასშტაბით და იმავდროულად ჰქონდეს სულ უფრო მზარდი საერთაშორისო რეპუტაცია; მოიზიდოს და შეინარჩუნოს მოტივირებული და მიღწევებზე ორიენტირებული ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები.

იგეგმება რეგიონისა და ქვეყნის სამეცნიერო და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში ჩართვა; აგრეთვე ინტერნაციონალიზაციის კუთხით გააქტიურება (საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, სხვადასხვა დაწესებულებებთან, ფონდებთან თანამშრომლობა, ერთობლივი კვლევების დაგეგმვა), რაც ხელს შეუწყობს ქართველოლოგიის განვითარებას და წარმოაჩენს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით პოტენციალს.

მიმართულება: ინტერდისციპლინარული კვლევები პრობლემატურ საკითხებზე ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ჭრილში

აღნიშნული მიმართულებით კვლევა-ძიება მოიცავს მსოფლიო ისტორიის, ლინგვისტიკის, დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურის, ფილოსოფიის, ეკონომიკის და სამართლის სფეროებს. აქცენტი გაკეთდება საკვანძო პრობლემატიკის ინდერდისციპლინარულ გააზრებაზე. რაც, თავის მხრივ, შესასწავლი საკითხების კომპლექსური და სრულყოფილი ანალიზის შესაძლებლობას მოგვცემს. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კავშირები და საკვლევი პრობლემატიკის აქტუალობა იძლევა ახალ პერსპექტივებს ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

ამასთან, ფაკულტეტზე განხორციელდება კვლევები (დამოუკიდებლად და/ან პარტნიორებთან) შემდეგი ქვემიმართულებით:

საქართველოს ისტორიის ქვემიმართულების კვლევის პრიორიტეტებია: ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს ისტორიის კოპლექსური კვლევა საქართველოს მთლიან ისტორიასთან კავშირში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების ფართოდ შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის ვრცელი კომენტარებისა და შენიშვნების თანდართვით გამოცემა. წარმოდგენილი კვლევის მიმართულებათა მიზანია კონკრეტულად მოიძიოს, გამოავლინოს, თარგმნოს და სპეციალისტებისათვისა და ზოგადად მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მუზეუმებსა და არქივში დაცული ქუთაისისა და საქართველოს ისტორიის უცნობი ქართული და უცხოენოვანი დოკუმენტები.

მსოფლიო ისტორიის ქვემიმართულებით სამომავლოდ იგეგმება შემდეგი ხასიათის კვლევების განხორციელება: ისტორიულ-მეთოდოლოგიური და ისტორიოგრაფიული (მისი მიზანია მარქსისტული მიდგომების დაძლევა კვლევისა და სწავლების პროცესში); სხვადასხვა ისტორიული ეპოქის (ძველი, შუა საუკუნეები, ახალი და უახლესი) საკვანძო პრობლემატიკის ინტერდისციპლინარულ მიდგომებზე დაფუძნებული კვლევითი პროექტების განხორციელება.

არქეოლოგიის ქვემიმართულება გეგმავს: ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ერთობლივი მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის შექმნას; აწსუ–ს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მიმართულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება, რაც პერსპექტივაში გულისხმობს ერთობლივი ინტერდისციპლინარული კვლევების განხორციელებას; საქართველოს და უცხოეთის უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა და ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა; უკვე არსებულ ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი კვლევების გაგრძელება (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო და ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტი)

ლინგვისტიკა განხორციელებს შემდეგი ხასიათის კვლევებს: ზოგადთეორიული, რომელიც დაფუძნებული იქნება თანამედროვე ლინგვისტური თეორიებისა და მიდგომების შესწავლაზე; სოციოლინგვისტური, რომლის ფარგლებშიც მოხდება საქართველოსა და მსოფლიოს ენობრივი პოლიტიკისა და ენობრივი სიტუაციების საკითხების დამუშავება-შესწავლა; ისტორიულ-შედარებითი, რომლის ფარგლებშიც მოხდება შესაბამისი ენის საკითხების განხილვა ისტორიული გავითარებისა და გრამატიკული სტრუქტურის შედარების საფუძველზე; გამოყენებითი, რომლის ფარგლებშიც მოხდება თითოეული ენის შესწავლის მეთოდოლოგიური ასპექტების განხილვა; დიაქრონიული(ენის ისტორიის) კვლევითი პროფილით შეისწავლება ენების დიაქრონული სურათი;დიალექტოლოგიური კვლევითი პროფილით მოხდება ქართული და შესაბამისი ენების დიალექტური მრავალფეროვნებისა და გრამატიკული თავისებურებების საკითხების დამუშავება; გრამატიკული კვლევითი მიდგომა ენათა ფონეტიკურ-მორფოლოგიურ და სინტაქსურ საკითხებს დაამუშავებს;ლექსიკოგრაფიული კვლევის პერსპექტივა დაეფუძნება თარგმნით და განმარტებით ლექსიკონებზე მუშაობას; მნიშვნელოვანია კონკრეტულ ენათა შეპირისპირებითი კვლევის ასპექტი, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სხვადასხვა სისტემების ენათა შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ფუნდამენტური ნაშრომის გამოცემა; ასევე უცხოური ენების სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელოს შექმნა (ქართულენოვანი აუდიტორიისათვის), რომელიც საგრძნობლად აამაღლებს უცხოური ენის დაუფლების დონეს ჩვენს ქვეყანაში.

ფაკულტეტის შიგნით საფაკულტეტო დაფინანსებით(4000 ლარი) გერმანული ენის მიმართულების აკადემიური პერსონალის მიერ ამჟამად ხორციელდება პროექტი „გერმანულ–

ქართულ ფორმაუცვლელ სიტყვათა ლექსიკონი. გრამატიკული და კომუნიკაციური ასპექტები". პროექტის კონცეპცია მომზადდა აწსუ-სა და იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტებს შორის არსებული პარტნიორობის (DAAD-GIP) ფარგლებში.

2017 წლის ივნისში მარსელის უნივერსიტეტში AIDA-ს(fr. Association Internationale de Dialectologie Arabe) მე-12 საერთაშორისო კონფერენციის სხომაზე გადაწყდა 2019 წელს აწსუ-ში მომდევნო კონფერენციის ჩატარება.

სამომავლოდ მნიშვნელოვანია სწორად დაიგეგმოს ინტერდისციპლინარული და ემპირიული ხასიათის კვლევები; პირველ შემთხვევაში მოხდება კვლევა დარგთაშორისი მიდგომით, ხოლო, მეორე შემთხვევაში-დოკუმენტური მასალებისა და წყაროების ფილოლოგიურ-ისტორიული ანალიზი.

ლიტერატურათმცოდნეობა ფაკულტეტის ფარგლებში მიმდინარე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების არეალისა და სამეცნიერო პოტენციალის გათვალისწინებით იკვეთება კვლევის შემდეგი პერსპექტივები: კომპარატივისტული და ინტერდისციპლინური კვლევების გაღრმავება, ლიტერატურის ინტერდისციპლინური კვლევის ცენტრის ჩამოყალიბება ფაკულტეტზე სამეცნიერო მუშაობის სისტემატიზაციისა და კომპლექსური კვლევის წარმართვის მიზნით; არსებული კვლევითი მიმართულებების გაღრმავება ახალ მასალაზე დაყრდნობით; კვლევის ინტერნაციონალიზაცია ერთობლივი საერთაშორისო პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების გზით; საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა თუ სხვა აკადემიურ გამოცემებთან თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია; ციფრული ფილოლოგიის განვითარების ხელშეწყობა; კვლევის გაღრმავება ლიტერატურული სემიოტიკისა და კოგნიტური ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით.

10. ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები

სამეცნიერო კვლეევეების ინტერნაციონალიზმის მხრივ დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

- იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტთან საუნივერსიტეტო პარტნიორობის (GIP-Partnerschaft. DAAD) წარმატებით და გაღრმავებულად წარმართვა;
- მუშაობის გააქტიურება საერთაშორისო პარტნიორებთან, რომლებმაც უკვე გამოხატეს თავიანთი ინტერესი ერთობლივი კვლევითი სამუშაოების განხორციელებისათვის (კვიპროსის რესპუბლიკის უნივერსიტეტი, ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტი პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით, შვეიცარიის უნივერსიტეტი ფოლკსვაგენის ფონდის მხარდაჭერით);
- AIDA (არაბული დიალექტოლოგიის საერთაშორისო ასოციაცია) მე-13 საერთაშორისო კონფერენცია, აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტის მასპინძლობით დაგეგმილია და ტარდება ქუთაისში აწსუ-ში(2019 წლის 28-31 მაისი)
- ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისა და დოქტორანტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო სასწავლო–კვლევით და გაცვლით პროექტებში და პროგრამებში;
- დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური კვლევებით დაინტერესებული ახალი საერთაშორიო პარტნიორების მოძიება;
- ინტერნაციონალიზაციის მხრივ გასაძლიერებელია მუშაობა ERASMUS + პროგრამის ფარგლებში credit mobility -ის მხრივ, რაც გაზრდის ახალგაზრდა მკვლევართა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობას;
- გაძლიერდება სამუშაოები ევროკავშირის პროგრამა Horizon 2020-ის კვლევებში ჩართვასთან დაკავშირებით;

- სამხრეთ უელსის უნივერსიტეტთან განახლებული მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიმართულებების გაფართოება;
- თანამშრომლობის გააქტიურება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შემდეგ უნივერსიტეტებთან: American University of the Middle East, University of Arkansas;
- გერმანული ენის მიმართულების მიერ 2018 წელს დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება(დონორი-DAAD);
- იენის უნივერსიტეტთან თანამშომლობის გაფართოება(იენის უნივერსიტეტის პროფესორის ადრიან სიმპსონისა და სოც. პროფ. რ. სვანიძის ერთობლივი კვლევა-გერმანულისა და ქართულის კონტრასტული ფონეტიკურ-ფონოლოგიური ანალიზი);
- ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულების აკადემიური პერსონალის მიერ უცხოელ მეცნიერთა ჩართულობით შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილია საგრანტო პროექტი ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში.